აგნმარტებითი ბარათი

ტერიტორიაზე შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის დროებითი და მუდმივი სქემები, ასევე შესრულებულია პირობაც, რომელიც დადებული იყო აღნიშნული სქემების შეთანხმებისას. (იხილეთ მიბმული ფაილები). ამ ეტაპზე სამშენებლო ღობე მოხსნილია, რადგან ფასადის და გარე სამუშაოები დასრულებულია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243462441**
გაცემის თარიღი: **31/12/2024**

ადრესატი: ალექსანდრე მაისურაძე
პირადი ნომერი: 01030001272
მისამართი: თბილისი საქარის ქ. N 11

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს №43-63 დადგენილებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში შესული ცვლილების თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭა ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ,,ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილების საფუძველზე, წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განათავსოს ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გუდაუთის ქუჩა N3-ის (ს/კ: №01.13.05.004.166) მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებითი ღობე, დანართში მოხიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, ტერიტორიაზე განთავსებული მწვანე ნარგავებისა და ხაზობრივი ნაგებობების დაუზიანებლად, ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფით, №01.13.05.001.068 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრესთან შეთანხმებით. სამუშაოების დასრულებისთანავე მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 3 (სამი) თვის ვადით.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

გადაწყვეტილების გასაჩივრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7)

ოთარ ჩიტიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243373358**
გაცემის თარიღი: **02/12/2024**

ადრესატი: პაატა ხეჩუმაშვილი
პირადი ნომერი: 31001008335
მისამართი: თბილისი მირიან მეფის ქ. N 103 ბ. 12

ბატონო პაატა,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2024 წლის 29 ნოემბრის №01243343567-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 29 ნოემბრის №01243343567-16 განცხადება და შეთანხმდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

ვინაიდან სამუშაოებისთვის განკუთვნილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, ასევე საზოგადოებრივ სივრცეს, აღნიშნული სქემა ჩაითვლება შეთანხმებულად, განსახორციელებელი სამუშაოთა წარმოების შესახებ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში (ოფიციალური საიტი: MS.GOV.GE - MS LETTERS - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“, შესაბამის ნომენკლატურაში - „სამუშაოების წარმოების და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება“ და ,,ხაზობრივი ნაგებობები/სამუშაოების წარმოება და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა“) შესაბამის ნომენკლატურაში განცხადების წარმოდგენისა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ

დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/CGC2qUos7TYhmcx

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

03/12/2024

MIA 0 24 03677538

მოქ. გ. ცისკარიშვილს
თქვენს 2024 წლის 3 დეკემბრის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, გუდაუთის ქ. N3 ს/კ 01.13.05.004.166-ის სამშენებლო დამცავი ღობის და სპეცტექნიკის განთავსების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი თანახმაა განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს სქემის შეთანხმებიდან 5 (ხუთი) თვის ვადით, პერიოდულად, სამშენებლო ტექნიკის განთავსება მოხდეს შაბათ-კვირას დღის საათებში, ხოლო დანარჩენ დღეებში 01:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე. (სამშენებლო ტექნიკა არ განთავსდეს 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათებში).

- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სპეციალური ტექნიკის განთავსების და სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემის შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- **ე.წ.“საცობის“ წარმოქმნის შემთხვევაში დაუყონებლივ შეჩერებულ იქნეს ზემოთ აღნიშნული სამუშაოები მის აღმოფხვრამდე;**

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალის ქუჩის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებული პირობების შესრულებაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების დაწყება და გაატარეთ ზომები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით




ჩრდილოეთი
გ. ლორთქიფანიძის ქ.
2.4m
12.1m
3.3m
1
6.6
1
საძვეთოო კარის სიგანეა 2მ
ს/კ: 01.13.05.004.166
1.5m
6.8m
საძვეთოო კარის სიგანეა 3მ
2
2
10m
1.26
10m
1.26
30m
1.26
პირობითი ნიშნები:
სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
საძვეთოო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
ქვითელი ციმციმა 3 ც.
ღობის ძოლგა
ღობე
დროებითი საგზაო ნიშნები:
1.26 3 - ცალი
კვეთი I-I
ღობის ძოლგა
1m
ღობე
2.0m
ფოთელი ხაზი
01.13.05.004.166
კვეთი II-II
ღობე
2.0m
ფოთელი ხაზი
01.13.05.004.166
შენიშვნა:
1. სამშენებლო ღობე და ძოლგა მოეწყობა ისე, რომ ხელს არ შეუშლის არსებულ ხე-მცენარეებსა და განათების/დენის ბოძებს, ქვეითების სამოძრაოდ დარჩება მინიმუმ 0.90 მეტრი და უზრუნველყოფილი იქნება მათი უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება.
2. ღობის სიმაღლე ცვალებადია, თუმცა არსად არ არის 2 მეტრზე ნაკლები.
სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალური ვადაა 2025 წლის 28 თებერვალი
შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით
1. ქვეითთა უსაფრთხო მოძრაობა უზრუნველყოფილია ძოლგებიანი დროებითი ღობით. სქემაზე მითითებულია მცირეტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილისთვის განკუთვნილი მიმართულება.
ქალაქი თბილისი, ქუჩა გუდაუთა, N3, მიმდებარედ;
ს/კ: 01.13.05.004.166
მაღაზიის მშენებლობა (III კლასი)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
სამშენებლო ტექნიკის განათავსებისას
(მშენებლობის პერიოდში)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
მ. პირობითი



ქალაქი თბილისი, ქუჩა გუდაუთა, N3, მიმდებარედ;
ს/კ: 01.13.05.004.166
მაღაზიის მშენებლობა (III კლასი)
საბზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
სამშენებლო ტექნიკის განათავსებისას
(დროებითი სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟი)

საბზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მ. პიროზითი



პირობითი ნიშნები:

სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

ყვითელი ციმციმა 2 ც.

სასიგნალე ლენტი

შენიშვნა:
სამშენებლო ტექნიკის განთავსება მოხდება პერიოდულად, შაბათ-კვირა დღეს დღის საათებში, (სამშენებლო ტექნიკა არ განთავსდება პიკის საათებში 08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე), ხოლო დანარჩენ დღეებში მხოლოდ ღამის საათებში 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე.

ვინაიდან კონკრეტული დღეების მითითება წინასწარ არ შეგვიძლია, გთხოვთ დაგვრთოთ ნება აღნიშნული პირობით სამუშაოს შესასრულებლად 2025 წლის 28 თებერვლამდე.

დროებითი საგზაო ნიშნები:

1.21.2	2 - ცალი
1.26	4 - ცალი
3.10	2 - ცალი
3.24	4 - ცალი
3.25	1 - ცალი
4.2.1	1 - ცალი
4.2.2	1 - ცალი
5.19.2 5.19.1	4 - ცალი
8.1.3	1 - ცალი
8.1.4	1 - ცალი
8.2.1	2 - ცალი

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 " და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ბუფერული ზონა არ ეწყობა.
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე შეადგენს 30მ-ს.
4. განდევნის ზონის სიგრძე შეადგენს 10მ-ს.
5. სტაბილიზაციის ზონის სიგრძე შეადგენს 5მ-ს.
6. სქემაზე მითითებულია სატრანსპორტო ნაკადისთვის და ქვეითებისთვის განკუთვნილი მიმართულება

ქალაქი თბილისი, ქუჩა ბუდაუთა, N3, მიმდებარედ; ს/კ: 01.13.05.004.166 მაღაზიის მშენებლობა (III კლასი) საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა სამშენებლო ტექნიკის განათავსებისას (გზის სავალი ნაწილის შევიწროვებისთვის)	საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა მ. პირობითი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243043671**
თარიღი: **30/10/2024**

ადრესატი: ალექსანდრე მაისურაძე
პირადი ნომერი: 01030001272
მისამართი: თბილისი, ათონელის 3

შპს ,,ESS"-ის წარმომადგენელს ალექსანდრე მაისურაძეს,

საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად გეგზავნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 7 ოქტომბრის №7-202 დადგენილების ასლი.

დანართი: 7 ფურცელი.

პატივისცემით,

ვალერიან ჩუბინიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახური-სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

დადგენილება №7-202

7 ოქტომბერი 2024 წ. ქ. თბილისი

შპს „ESS"-ის წარმომადგენლის, ალექსანდრე მაისურაძის

საჩივრის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა, განვიხილე რა 2024 წლის 2 აგვისტოს შემოსული (მერიაში რეგისტრაციის №19/0124215495-01) შპს „ESS"-ის წარმომადგენლის, ალექსანდრე მაისურაძის საჩივარი და მასალები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის №სჯ000396 გაუქმების თაობაზე,

გამოვარკვიე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 2 აგვისტოს შემოვიდა შპს „ESS"-ის წარმომადგენლის, ალექსანდრე მაისურაძის საჩივარი, რომლებითაც იგი ითხოვს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის №სჯ000396 გაუქმებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახურში ამავე სააგენტოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახურიდან 2024 წლის 5 აგვისტოს №16-01242184325 წერილით შემოვიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმესთან დაკავშირებული მასალები.

2024 წლის 23 სექტემბერს ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადდნენ სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები დავით ჯანელიძე და გიგა ჯაშიაშვილი.

2024 წლის 23 სექტემბერს ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადდა შპს „ESS"-ის წარმომადგენელი, ალექსანდრე მაისურაძე, რომელიც დაეთანხმა საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციას და განმარტა, რომ ობიექტი, რომლის დაჯარიმებაც მოხდა არის რთული ობიექტი, ვინაიდან მეზობლები ყველაფერზე უჩივიან კომპანიას, შესაბამისად მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი კომპანიას ყოველთვის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში

აქვს მოყვანილი, კომპანიას 2019 წელს ჰქონდა შეთანხმებული საგზაო მოძრაობის სქემა, მაგრამ რეგულაციების შეცვლის შემდგომ საჭირო გახდა კანონმდებლობის შესაბამისად ახალი საგზაო მოძრაობის რეგულირების სქემის შეთანხმება, რაც კომპანიამ გააკეთა 2024 წლის 4 ივლისს, შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ საგზაო მოძრაობის სქემა, მაგრამ შეთანხმებაში მითითებული იყო, რომ სააგენტოს მიერ აღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ჩაითვლება შეთანხმებულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში განსახორციელებელ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად განცხადების წარდგენის და ნებართვის მიღების შემდგომ. ამასთან, წარმომადგენელმა დაამატა, რომ სააგენტოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა დამატებით თანხმდება საპატრულო პოლიციასთან, 2024 წლის 15 ივლისს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წერილით შეთანხმებულ იქნა საპატრულო პოლიციასთან, სადავო ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენის დროისათვის არ ყოფილა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა კომპანიის მიერ მიღებული, შესაბამისად, როგორც სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შეთანხმებაში იყო მითითებული სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლებოდა ძალაში საგზაო მოძრაობის სქემა, შესაბამისად დარღვევა რაზედაც შედგენილ იქნა სადავო ქვითარი კომპანიის მხრიდან ჩადენილი არ ყოფილა და არ არსებობდა აღნიშნული დარღვევა. ალექსანდრე მაისურაძემ ასევე აღნიშნა, რომ კომპანიის დარღვევა სააგენტოს წერილის შესაბამისად წარმოადგენდა იმას, რომ ობიექტზე არ იყო განთავსებული საგზაო ნიშნები და სამი მაშუქი ციმციმა, ასევე არ იყო მოწყობილი დამცავი საფარი. ამასთან, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 05 მარტს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან, რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს „სააგენტო“, შეთანხმებული იყო საგზაო მოძრაობის სქემა, რომელიც თავის მხრივ შეთანხმებული იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან 2019 წლის 07 მარტს, შესაბამისად, სამუშაოების დაწყებამდე, კომპანიის მიერ ღობის მიწყობა დაიწყო სწორედ 2019 წლის 05 მარტს შეთანხმებული სქემის შესაბამისად. კომპანიის მიერ აღმოჩენილი იყო, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანხმობა გაცემული იყო 6 თვის ვადით, რის გამოც, 2024 წლის 10 ივნისს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს კომპანიამ მიმართა განცხადებით და მოითხოვა ვადის გაგრძელება. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წერილით მოთხოვნილ იქნა „სააგენტოსთან“ შეთანხმებული განახლებული თანხმობა და დროებითი საგზაო მოძრაობის სქემა. კომპანია კეთილსინდისიერად მიუდგა არსებულ გარემოებას და მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ შეთანხმებულ სქემას არ ჰქონდა ვადა და „სააგენტოსთან“ კონსულტაციით გაირკვა, რომ შეეძლოთ აღნიშნული სქემით ეხელმძღვანელათ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოთხოვნის გამო, იძულებული გახდნენ „სააგენტოსთან“ შეეთანხმებინათ ახალი სქემა. შესაბამისად, „სააგენტოში“ განახლებულ სქემაზე განცხადების შეტანის მომენტიდან კომპანიისთვის ჯერ არ იყო ცნობილი რა სახით უნდა ყოფილიყო მოწყობილი ღობე. „სააგენტოსთვის“ ცნობილი იყო, რომ შპს „ESS“ ზედმიწევნით ასრულებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ახორციელებდა საგზაო მოძრაობის ორგანიზების განახლებული სქემის შეთანხმებას, რომელიც თავის მხრივ, სავალდებულო წესით შესათანხმებელი იყო როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან, ასევე სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, რასაც ბუნებრივია გარკვეული დრო დაჭირდებოდა. ამრიგად, „სააგენტოს“ მიერ გასაჩივრებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენის მომენტისათვის - 2024 წლის 22 ივლისისათვის, კომპანიისათვის ჯერ არ იყო ცნობილი შეთანხმებული სქემა იყო საბოლოო სახის თუ შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან კიდევ მოთხოვნილიყო გარკვეული ცვლილებები. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით და საგზაო მოძრაობის სქემის ადმინისტრაციულ ორგანოებთან საბოლოო შეთანხმებამდე, აღარ იქნა გაგრძელებული ღობის მოწყობა და მისი შეთანხმებული სქემით მოწყობა განხორციელდა მხოლოდ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთანხმების ანუ 2024 წლის 30 ივლისის შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ESS“-ის წარმომადგენელმა, ალექსანდრე მაისურაძემ ითხოვა ჯარიმის გაუქმება.

დამატებითი კველვის მიზნით, ზეპირი მოსმენის სხდომა გადაიდო 2024 წლის 30 სექტემბრისთვის.

2024 წლის 30 სექტემბერს ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადდა შპს „ESS"-ის წარმომადგენელი, ალექსანდრე მაისურაძე, რომელმაც წარმოადგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადება QN11048457 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება 4662650, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2024 წლის 8 და 9 ივლისის შეთანხმებები, დაეთანხმა საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციას, 2024 წლის 23 სექტემბერს ზეპირი მოსმენის სხდომაზე დაფიქსირებულ პოზიციას და ითხოვა ჯარიმის გაუქმება.

2024 წლის 30 სექტემბერს ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადდა სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი დავით ჯანელიძე, რომელმაც განმარტა, რომ სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ ეთანხმება წარმოდგენილ საჩივარს, შემდეგ გარემოებათა გამო: 2024 წლის 22 ივლისს გამოვლენილი იქნა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 134[1] მუხლის პირველი ნაწილით ჩადენილი სამართალდარღვევა, კერძოდ შპს „ESS" ქალაქ თბილისში გუდაუთის ქუჩა №3-ის მიმდებარედ (ს/კ 01.13.05.004.166) მიმდებარედ, სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის დარღვევით, კერძოდ სქემით გათვალისწინებული 3 საგზაო ნიშნიდან და 3 მაშუქი ციმციმიდან ობიექტზე არ იყო განთავსებული არცერთი მადგანი, ამასთან არასრულად იყო მოწყობილი დამცავი საფარი, ასევე ფიქსირდებოდა ერთი შესავლელი, რომელიც სქემით არ ოყო განსაზღვრული. ადგილზე უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 234[1] მუხლის შესაბამისად სრულყოფილად შესწავლილ იქნა საქმე და შპს „ESS" მიმართ შედგენილ იქნა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი №სჯ000396 და შპს „ESS" დაჯარიმდა 5000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის №სჯ000396 შედგენისას მათ არ ჰქონდა შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შესაბამისად საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის დარღვევისათვის შპს „ESS" არ უნდა შედგენილიყო ელექტრონული საჯარიმო ქვითარი დავით ჯანელიძემ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილ საჩივრის ავტორის მტკიცებულებებზე იმსჯელებს ზემდგომი უფლებამოსილი პირი, ამასთან აღსანიშნავი, რომ შპს „ESS" 2019 წელს შეთანხმებული ჰქონდა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და ახალი სქემის შეთანხმებამდე კომპანიას უნდა ეხელმძღვანელა 2019 წელს შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზწების სქემის შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დავით ჯანელიძეს მიაჩნია, რომ სახეზეა შპს „ESS" -ის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და შესაბამისად არ არსებობს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის №სჯ000396 გაუქმების არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძვლები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების, აგრეთვე კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივრისა და პროტესტის განხილვისას შეამოწმებს მიღებული დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის:

მე-8 მუხლის მიხედვით, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და

თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ზემოქმედების ზომების შეფარდებისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვას უზრუნველყოფს ზემდგომი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მხრივ სისტემატური კონტროლი, საპროკურორო ზედამხედველობა, გასაჩივრების უფლება, კანონმდებლობით დადგენილი სხვა საშუალებები.

232-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა შეწყდეს თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი არ არსებობს.

236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი მტკიცებულებებით და სხვა დოკუმენტებით.

237-ე მუხლის შესაბამისად ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ" ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება.

„საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საგზაო მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული საქმიანობა ხორციელდება იმ ტექნიკური საშუალებების კომპლექსურად გამოყენების საფუძველზე, რომლებიც რეგლამენტირებულია საქართველოს კანონმდებლობით და გათვალისწინებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების პროექტებითა და სქემებით," ხოლო მე-17 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან (უწყებისაგან) ნებართვის, დაშვების, თანხმობის მიღების შემდეგ ან ამ ორგანოსთან (უწყებასთან) შეთანხმებითაა დასაშვები საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შემუშავება.

საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, გზა არის მოძრაობისათვის გახსნილი გზის ან ქუჩის მთელი ზედაპირი, გზას შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთი სავალი ნაწილი, ისე რამდენიმე, გამყოფი ზოლით მკვეთრად გამიჯნული ან სხვადასხვა დონეზე არსებული სავალი ნაწილები. ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს ტრამვაის ლიანდაგს, ტროტუარს, გვერდულას, გამყოფ ზოლს, ველობილიკს, თოვლზე/ყინულზე სასრიალო ზონას (ტერიტორიას).

„საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე მოძრაობის დროებით

შეწყვეტის ან შეზღუდვის გადაწყვეტილებას, ვადის მითითებით, იღებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე – შესაბამისი მუნიციპალიტეტები, ხოლო საუწყებო საავტომობილო გზებზე – ამ გზების მფლობელები".

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ფუნქციაა გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სქემების მომზადება ან/და შეთანხმება; ასევე, ზემოხსენებული ნორმატიული აქტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება „გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადება და შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან", ხოლო „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად - „მშენებლობის ნებართვის არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისას ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადება და შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან". აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ[1]" ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე სააგენტოს ფუნქციაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა და მისი აღსასრულებლად მიქცევა.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134[1] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12–მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №57-52 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „გზაზე, საგზაო ნაგებობაზე, მიწისქვეშა კომუნიკაციაზე ან რკინიგზის გადასასვლელზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება, ან ამ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას სატრანსპორტო საშუალების გზაზე განლაგება

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) ერთად შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (მათ შორის, დროებითის) გარეშე ან სქემის (მათ შორის, დროებითის) დარღვევით, ან არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირის წერილობითი მითითების შეუსრულებლობა –გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 5 000 ლარის ოდენობით."

საქმეში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის, ვიქტორ წილოსანის, 2024 წლის 24 ივლისის №16-01242063505 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 22 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შპს ,,ESS" (ს/ნ 404935816) დაჯარიმდა 5,000 ლარით, რადგან ქ. თბილისში, გუდაუთის ქუჩა №3-ის მიმდებარედ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებდა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის სქემის დარღვევით. ამასთან, შპს ,,ESS"-ს დაევალა 30 კალენდარულ დღეში დარღვევის გამოსწორება და ობიექტის მოწყობა დამტკიცებული სქემის შესაბამისად. გარდა ამისა, შპს ,,ESS"-ს გაეგზავნა №სჯ000396 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი და სამართალდარღვევის ამსახველი ფოტომასალა.

საქმის განხილვის შედეგად დადგენილია, რომ 2024 წლის 22 ივლისს გამოვლენილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლის პირველი ნაწილით ჩადენილი სამართალდარღვევა, კერძოდ შპს ,,ESS" (ს/ნ 404935816) ქალაქ თბილისიში გუდაუთის ქუჩა №3-ის (ს/კ 01.13.05.004.166) სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) ერთად შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დარღვევით (არ ჰქონდა განთავსებული არცერთი საგზაო ნიშანი). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] მუხლის შესაბამისად შესწავლილ იქნა საქმე სრულყოფილად და შედგა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი №სჯ000396. თუმცა, საქმეში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 4 ივლისის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმების თაობაზე №16-01241862737 წერილით დგინდება, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობი, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი აქტების დადგენილი წესით, ამასთან სააგენტოს მიერ აღნიშნული საგზაო მოძრაობის ოქრგანიზების სქემა ითვლება შეთანხმებულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში აღნიშნულ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების წარდგენისა და ნებართვის მიღების შემთხვევაში. ამასთან საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტემენტის 2024 წლის 15 ივლისის MIA62402137363 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა საგზაო მოძრაონის ორგანიზების დროებითი სქემა, ხოლო ამის შემდგომ 2024 წლის 30 ივლისის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებით QN11048457 დაკმაყოფილდა შპს ,,ESS"-ის მოთხოვნა და შპს ,,ESS"-ს მიეცა თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში გუდაუთის ქ. 3-ის მიმდებარედ სამშენებლო ღობის მოწყობა სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილია, რომ 2024 წლის 22 ივლისს, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის №სჯ000396 შედგენისას შპს ,,ESS" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტოს 2024 წლის 4 ივლისის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმების თაობაზე №16-01241862737 წერილი არ იყო შეთანხმებულად ჩათვლილი, ვინაიდან აღნიშნული წერილით შპს „ESS“-ს დავალებული ჰქონდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში აღნიშნულ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების წარდგენა და მხოლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან ნებართვის მიღების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ჩაითვლებოდა შეთანხმებულად. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ დაკმაყოფილდა შპს „ESS“-ის მოთხოვნა 2024 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით QN11048457, შესაბამისად 2024 წლის 22 ივლისს, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის №ჯ000396 შედგენისას შპს „ESS“-ის მიერ არ განხორციელებულა სამუშაოები ქალაქ თბილისში გუდაუთის ქუჩა №3-ის (ს/კ 01.13.05.004.166) სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) ერთად შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ქემისის დარღვევით შესაბამისად, უნდა გაუქმდეს №სჯ000396 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, მე-8, 232-ე, 236-ე, 237-ე, 264-ე, 272-ე, 273-ე, 276-ე, 278-ე მუხლებით,

დავადგინე:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ESS“-ის წარმომადგენლის, ალექსანდრე მაისურაძის საჩივარი.
2. გაუქმდეს ელექტრონული საჯარიმო ქვითარი №სჯ000396.
3. დადგენილების ასლები გადაეგზავნოთ მხარეებს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

სააგენტოს უფროსი **ვიქტორ წილოსანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243373358**
გაცემის თარიღი: **02/12/2024**

ადრესატი: პაატა ხეჩუმაშვილი
პირადი ნომერი: 31001008335
მისამართი: თბილისი მირიან მეფის ქ. N 103 ბ. 12

ბატონო პაატა,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2024 წლის 29 ნოემბრის №01243343567-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 29 ნოემბრის №01243343567-16 განცხადება და შეთანხმდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

ვინაიდან სამუშაოებისთვის განკუთვნილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, ასევე საზოგადოებრივ სივრცეს, აღნიშნული სქემა ჩაითვლება შეთანხმებულად, განსახორციელებელი სამუშაოთა წარმოების შესახებ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში (ოფიციალური საიტი: MS.GOV.GE - MS LETTERS - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“, შესაბამის ნომენკლატურაში - „სამუშაოების წარმოების და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება“ და ,,ხაზობრივი ნაგებობები/სამუშაოების წარმოება და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა“) შესაბამის ნომენკლატურაში განცხადების წარმოდგენისა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ

დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/CGC2qUos7TYhmcx

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

03/12/2024

MIA 0 24 03677538

მოქ. გ. ცისკარიშვილს
თქვენს 2024 წლის 3 დეკემბრის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, გუდაუთის ქ. N3 ს/კ 01.13.05.004.166-ის სამშენებლო დამცავი ღობის და სპეცტექნიკის განთავსების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი თანახმაა განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამუშაოები იწარმოებს სქემის შეთანხმებიდან 5 (ხუთი) თვის ვადით, პერიოდულად, სამშენებლო ტექნიკის განთავსება მოხდეს შაბათ-კვირას დღის საათებში, ხოლო დანარჩენ დღეებში 01:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე. (სამშენებლო ტექნიკა არ განთავსდეს 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათებში).

- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სპეციალური ტექნიკის განთავსების და სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემის შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- **ე.წ.“საცობის“ წარმოქმნის შემთხვევაში დაუყონებლივ შეჩერებულ იქნეს ზემოთ აღნიშნული სამუშაოები მის აღმოფხვრამდე;**

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალის ქუჩის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებული პირობების შესრულებაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების დაწყება და გაატარეთ ზომები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით




ჩრდილოეთი
გუდაუთის ქ.
30m
1.26
10m
1.26
10m
1.26
2.4m
12.1m
1.6m
3.3m
1.5m
6.8m
1
1
2
2
საქვეითო კარის სიგანეა 2მ
საქვეითო კარის სიგანეა 3მ
ს/კ: 01.13.05.004.166
პირობითი ნიშნები:
სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
ყვითელი ციმციმა 3 ც.
ღობის ქოლგა
ღობე
დროებითი საგზაო ნიშნები:
1.26 3 - ცალი
სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალური ვადაა 2025 წლის 28 თებერვალი
შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით
1. ქვეითთა უსაფრთხო მოძრაობა უზრუნველყოფილია ქოლგიანი დროებითი ღობით. სქემაზე მითითებულია მცირეტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილისთვის განკუთვნილი მიმართულება.
კვეთი I-I
ღობის ქოლგა
1m
წითელი ხაზი
ღობე
2.0m
01.13.05.004.166
კვეთი II-II
ღობე
წითელი ხაზი
2.0m
01.13.05.004.166
შენიშვნა:
1. სამშენებლო ღობე და ქოლგა მოეწყობა ისე, რომ ხელს არ შეუშლის არსებულ ხე-მცენარეებსა და განათების/დენის ბოძებს, ქვეითების სამოძრაოდ დარჩება მინიმუმ 0.90 მეტრი და უზრუნველყოფილი იქნება მათი უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება.
2. ღობის სიმაღლე ცვალებადია, თუმცა არსად არ არის 2 მეტრზე ნაკლები.
ქალაქი თბილისი, ქუჩა გუდაუთა, N3, მიმდებარედ;
ს/კ: 01.13.05.004.166
მაღაზიის მშენებლობა (III კლასი)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა სამშენებლო ტექნიკის განათავსებისას (მშენებლობის პერიოდში)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
მ. პირობითი



ქალაქი თბილისი, ქუჩა გუდაუთა, N3, მიმდებარედ;
ს/კ: 01.13.05.004.166
მაღაზიის მშენებლობა (III კლასი)
საბზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
სამშენებლო ტექნიკის განათავსებისას
(დროებითი სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟი)

საბზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მ. პიროზითი



პირობითი ნიშნები:

- სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- ყვითელი ციმციმა 2 ც.
- სასიგნალე ლენტი

დროებითი საგზაო ნიშნები:

1.21.2	2 - ცალი
1.26	4 - ცალი
3.10	2 - ცალი
3.24	4 - ცალი
3.25	1 - ცალი
4.2.1	1 - ცალი
4.2.2	1 - ცალი
5.19.2 5.19.1	4 - ცალი
8.1.3	1 - ცალი
8.1.4	1 - ცალი
8.2.1	2 - ცალი

შენიშვნა:
სამშენებლო ტექნიკის განთავსება მოხდება პერიოდულად, შაბათ-კვირა დღეს დღის საათებში, (სამშენებლო ტექნიკა არ განთავსდება პიკის საათებში 08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე), ხოლო დანარჩენ დღეებში მხოლოდ ღამის საათებში 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე.

ვინაიდან კონკრეტული დღეების მითითება წინასწარ არ შეგვიძლია, გთხოვთ დაგვრთოთ ნება აღნიშნული პირობით სამუშაოს შესასრულებლად 2025 წლის 28 თებერვლამდე.

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ბუფერული ზონა არ ექყობა.
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე შეადგენს 30მ-ს.
4. განდევნის ზონის სიგრძე შეადგენს 10მ-ს.
5. სტაბილიზაციის ზონის სიგრძე შეადგენს 5მ-ს.
6. სქემაზე მითითებულია სატრანსპორტო ნაკადისთვის და ქვეითებისთვის განკუთვნილი მიმართულება

ქალაქი თბილისი, ქუჩა გუდაუთა, N3, მიმდებარედ;
ს/კ: 01.13.05.004.166
მაღაზიის მშენებლობა (III კლასი)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
სამშენებლო ტექნიკის განათავსებისას
(გზის სავალი ნაწილის შევიწროვებისთვის)

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მ. პირობითი

გაცემის თარიღი

30.07.2024

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	ალექსანდრე მაისურაძე 01030001272
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN11048457
გასაჩივრების წესი :	ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN11048457

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, გუდაუთის ქ. #3–ის მიმდებარედ საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობა, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით / მშენებლობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში. სამუშაოების დასრულებისთანავე მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოყვენილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 5 (ხუთი) თვის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/ე-1498'-25

"22" 08. 2025 წ.

დადგენილება №003299
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

22.08.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა, გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე, 2025 წლის 22 აგვისტოს ს №003299 შემოწმების აქტი შედგენილია **შპს „ESS"-ს** (ს/ნ №404935816; მის.:ქ.თბილისი საბურთალოს რაიონი, გაგარინის II შესახვევი №2/5 – №4, ბ.1) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში გუდაუთას ქუჩა №3, №01.13.05.004.166 საკადასტრო კოდზე, **შპს „ESS"-ის** მიერ, განხორციელებულ იქნა მაღაზიის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10.09.2019წ. №4662650 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: +0.00 ნიშნულზე „გ-ბ" მონაკვეთში „3" ღერძთან არ არის მოწყობილი კიბე, „დ-გ" მონაკვეთში „4" ღერძთან შიდა მხრიდან დამატებულია სლაიდი კარი, ხოლო „დ-ბ" მონაკვეთში „5-4" ღერძების კვეთასთან შეცვლილია ტიხრების კონფიგურაცია. „ა" ღერძზე „4" და „5" ღერძების კვეთასთა არ არის მოწყობილი ჟალუზები. +4.00 ნიშნულზე „დ-ბ" მონაკვეთში „4-5" ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია ტიხრები.

2025 წლის 22 აგვისტოს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №003299 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის მიერ 2025 წლის 13 ივნისის წარმოდგენილი №10/01251642630-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შპს „ESS"-ის** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501. 2 378 396

სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში გუდაუთას ქუჩა №3, №01.13.05.004.166 საკადასტრო კოდზე, განხორციელებულ იქნა მაღაზიის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10.09.2019წ. №4662650 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: +0.00 ნიშნულზე „გ-ბ" მონაკვეთში „3" ღერძთან არ არის მოწყობილი კიბე, „დ-გ" მონაკვეთში „4" ღერძთან შიდა მხრიდან დამატებულია სლაიდი კარი, ხოლო „დ-ბ" მონაკვეთში „5-4" ღერძების კვეთასთან შეცვლილია ტიხრების კონფიგურაცია. „ა" ღერძზე „4" და „5" ღერძების კვეთასთა არ არის მოწყობილი ჟალუზები. +4.00 ნიშნულზე „დ-ბ" მონაკვეთში „4-5" ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია ტიხრები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შპს „ESS"** დაჯარიმდეს 10 000 (ათი ათასი) ლარით ქ. თბილისში, გუდაუთას ქუჩა №3, №01.13.05.004.166 საკადასტრო კოდზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 10.09.2019წ. №4662650 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, III კლასის მაღაზიის მშენებლობისთვის.

2. **სს შპს „ESS"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს „ESS"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი გოგი ჩიქოვანი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 003299

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 22.08.2025წ.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ)138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს "E.S.S" ს/კ 404935816 ქ. თბილისი
ს.მასივის კორპ. ვესანის ქ. N215 კ.ფ. 21

ობიექტის დასახელება და მისამართი: შიდა ს/კ 01.13.05.004.166 ქ. თბილისი
აღმაშენებლის ქ. N35

შემოწმებით დადგინდა: ობიექტზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 10.04.2019წ. №4662650 ბრძანებით წარმოებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის №003299 ფარგლებში (დასაბუთება იხილეთ დანართში)

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).
შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

№003299 შემოწმების აქტის დანართი

+0.00 ნიშნულზე ,,გ-ბ'' მონაკვეთში ,,3'' ღერძთან არ არის მოწყობილი კიბე, ,,დ-გ'' მონაკვეთში ,,4'' ღერძთან შიდა მხრიდან დამატებულია სლაიდი კარი, ხოლო ,,დ-ბ'' მონაკვეთში ,,5-4'' ღერძების კვეთასთან შეცვლილია ტიხრების კონფიგურაცია. ,,ა'' ღერძზე ,,4'' და ,,5'' ღერძების კვეთასთა არ არის მოწყობილი ჟალუზები. +4.00 ნიშნულზე ,,დ-ბ'' მონაკვეთში ,,4-5'' ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია ტიხრები.

უფროსი სპეციალისტი: ---------- მ.ჩუთლაშვილი

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

01/09/25 .

საგადასახადო დავალება
Payment Order

1757440000 GEL

მიღების/შესრულების თარიღი: 2025-09-10
Receipt/Execution Date

თიბისი ბიზნესისთვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender		რეფერენსი / Ref. Num.
შპს ESS, 404935816		17074831116
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE75TB7888636080100001	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's Bank	ბანკის კოდი / Bank Code	10000.0GEL
სს "თიბისი ბანკი"	TBCBGE22	თანხა სიტყვიერად Amount in words
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა **Information on a person on behalf of whom the payment is made**		ათიათასი ლარი და 00 თეთრი
დასახელება / Name		
საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code		**წარდგენის თარიღი** **/ Document Submission Date**
მიმღები / Receiver		2025-09-09
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ		
სახაზინო კოდი / Treasury Code	300773263	
ხაზინა / Treasury	ბანკის კოდი / Bank Code	ხელმოწერა Signature
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	TRESGE22	
გადახდის დანიშნულება / Operation Details		
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო		
დამატებითი ინფორმაცია / Additional Information		
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 003299		

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოთხსენებულ ხელშეკრულებას



დენდროლოგიური გეგმა

ქ. თბილისი
გულაუთის ქ.№3-ის მიმდებარედ
ს/კ 01.13.05.004.166

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, გუდაუთის ქ. #3-ის მიმდებარედ (საკ.კოდ. 01.13.05.004.166), დამკვეთი: ESS 404935816, არასასოფლო სამეურნეო.

ტერიტორია არის ვაკე ადგილი, აღენიშნება 14 ძირი ხე-მცენარე:

#1;2-ქლიავი

#3;4;5;6;7;8 -ვაზი (ლიანა)

#9-თუთა;

#10-ჭერამი;

#13-ლეღვი;

#14-მუშმალა;

#12-კაკალი (გადაირგვება საპროექტო ტერიტორიაზე);

#11-იფანი (გადაირგვება საპროექტო ტერიტორიაზე).

საექსპორტო დასკვნა 7.06.2018 წ დამოუკიდებელი ექსპერტ გიორგი ტივაძის ფოტომასალით თან ახლავს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის #18-01182463257 თარიღი: 03/09/2018 პინი: 2758 გასცემს ნებართვას 1 (ერთი) ძირი კაკლის ხის და 1 (ერთი) ძირი იფანის ხის საპროექტო ტერიტორიაზე გადარგვას.

ხოლო 1 (ერთი) ძირი თუთის ხის მოჭრასთან დაკავშირებით დამკვეთის მიერ წარდგენილია სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვსა და ბიომრვალფეროვნების ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღირებულების განხორციელების -აღდგენითი ღირბულების თანხის ქვითარი.

ტერიტორიის საერთო ფართია: 433კვ/მ

გასამწვანებელი ფართი: კ3-35.7კვ/მ.

გასანწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეთა სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან:

1.წითელი ტყემალი-2 ძ.

2.რობინია, ცრუ აკაცია-2ძ.

აღნიშნული ხე-მცენარეები შერჩეულია ქ.თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

გამწვანების პროექტი დასრულდება სამშენებლო პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში ვეგეტაციური და აგროტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირია: გიორგი ცისკარიშვილი (პ/ნ 59001025425).წერილობითი თანხმობა თან ერთვის.

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა იქნება სამი წელი.

ელისო ხარჩილავა

(პ/ნ 62004015900)

მწვანე მშენებლობის ინჟინერი

(AA #0039124) ;

2019/08/05

k3-3 5.7 ъ3/ə



ს ი ტ უ ა ც ი უ რ ი გ ე გ მ ა



ქ. თბილისი
გუდაუთის ქ.№3-ის მიმდებარედ
ს/კ 01.13.05.004.166
ტერიტორიის საერთო ფართი: 433კვ/მ
განაშენიანების ფართი:390.1კვ/
გამწვანება:35.7კვ/მ

არსებული მცენარეები

# 1;2	ძლიავი
# 3;4;5;6;7;8	ვაზი
# 9	თუთა
# 10	ჭერამი
# 11	იფანი
# 12	კაკალი
# 13	ლეღვი
# 14	მუშმალა

დამკვეთი	შპს ე.ს.ს	
დირექტორი	ლევან სამადაშვილი	
შემსრულებელი	შპს "მოურავი" ს/კ406228069	
ლანდშ. დიზაინერი	ელისო ხარჩილავა	

დენდროლოგიური გეგმა



Prunus cerasifera



Robinia pseudoacacia

ქ. თბილისი
გუდაუთის ქ.№3-ის მიმდებარედ
ს/კ 01.13.05.004.166
ტერიტორიის საერთო ფართი: 433კვ/მ
განაშენიანების ფართი:390.1კვ/მ
გამწვანება:35.7 კვ/მ

ექსპლიკაცია:

①Juglans regia	1ძ	საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები (გადარგული)
②Fraxinus	1ძ	
③Prunus cerasifera	1ძ	
④Robinia pseudoacacia	1ძ	

დამკვეთი	შპს ე.ს.ს	
დირექტორი	ლევან სამადაშვილი	
შემსრულებელი	შპს "მოურავი" ს/კ406228069	
ლანდშ. დიზაინერი	ელისო ხარჩილავა	

მცენარეთა დაჯგუფების გეგმა



Prunus cerasifera



Robinia pseudoacacia

ქ. თბილისი
გუდაუთის ქ.№3-ის მიმდებარედ
ს/კ 01.13.05.004.166
ტერიტორიის საერთო ფართი: 433კვ/მ
განაშენიანების ფართი:390.1კვ/მ
გამწვანება: 35.7 კვ/მ

ექსპლიკაცია:

①Juglans regia	1ც	საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები (გადარგული)
②Fraxinus	1ც	
③Prunus cerasifera	1ც	
④Robinia pseudoacacia	1ც	

დამკვეთი	შპს ე.ს.ს	
დირექტორი	ლევან სამადაშვილი	
შემსრულებელი	შპს "მოურავი" ს/კ406228069	
ლანდშ. დიზაინერი	ელიზო ხარჩილავა	

არსებულ ხე ნარგავთა ინვენტარიზაცია

#	მცენარეთა დასახელება		რაოდენობა	სიმაღლე მეტრებში	ღეროს დიამეტრი	დეკორატიული ღირებულება	ჩასატარებელი ღონისძიება
1	Prunus domestica	ქლიავი	1	0.60	14სმ-დან	ხე, ზეხმელი	მოჭრა
2	Prunus domestica	ქლიავი	1	1.30	14სმ-დან	ხე, ხმელი ტოტებით	
3	Vitis	ვაზი	1	4.0	14სმ-დან	ხვიარა ჯანსაღი	
4	Vitis	ვაზი	1	4.0	14სმ-დან	ხვიარა ჯანსაღი	
5	Vitis	ვაზი	1	4.0	14სმ-დან	ხვიარა გადაბელილი	
6	Vitis	ვაზი	1	4.0	14სმ-დან	ხვიარა გადაბელილი	
7	Vitis	ვაზი	1	4.0	14სმ-დან	ხვიარა გადაბელილი	
8	Vitis	ვაზი	1	5.0	14სმ-დან	ხვიარა ჯანსაღი	
9	Morus	თუთა	1	5.20	14სმ-დან	ხე ჯანსაღი	
10	Prunus armenica	ჭერამი	1	1.70	14სმ-დან	ხე ჯანსაღი	
11	Fraxinus	იფანი	1	3.0	14სმ-დან	ხე ხმელი ტოტებით	გადარგვა
12	Juglans regia	კაკალი	1	1.20	14სმ-დან	ხე ჯანსაღი	გადარგვა
13	Ficus carica	ლეღვი	1	1.0	14სმ-დან	ხე ჯანსაღი ამონაყრით	
14	Erioborrya	მუშმალა	1	1.20	14სმ-დან	ხე ხმობადი ამონაყრით	

მცენარეთა ექსპლიკაცია

#	მცენარეთა დასახელება	რაოდენობა	სიმაღლე მეტრებში	ღეროს დიამეტრი	ფორმა	ხნოვანება	მახასიათებლები
1	გადასარგავი მცენარეები	2					
2	Prunus cerasifera წითელი ტყემალი	1	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
3	Robinia pseudoacacia რობინია ცრუ აკაცია	1	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი

სამუშაოთა მოცულობა

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	გასამღვანებელი ტერიტორიის ფართობი	კვ.მეტრი	43	
2	გასამღვანებელი ტერიტორიის გასუფთავება და დამუშავება	კვ.მეტრი	43	
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ტყის მიწის შეტანით	ცალი	2	
4	ხეების დარგვა	ცალი	2	
5	ადგილების მომზადება ხეების გადასარგავად 50% ტყის მიწის შეტანით	ცალი	2	
6	ხეების გადარგვა	ცალი	2	
7	ტერიტორიების მომზადება ჩვეულებრივი გაზონის მოსაწყობად, 20%ტყის მიწის შეტანით	კვ.მეტრი	43	
8	გაზონის მოწყობა (დათესვა ან რულონის დაგება)	კვ.მეტრი	43	
9	გაზონის მოვლა	კვ.მეტრი	43	
10	ახალ დარგულ და გადარგულ ხე-მცენარების მოვლა	ცალი	4	
11	ახლად დარგული ხე-მცენარეების, ქვავილნარების და გაზონის მორწყვა	ყველა მცენარე და გაზონი		

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "**ESS" ID 404935816**

საპროექტო ტერიტორია:

ქ. თბილისი, გუდაუთის ქ.№3-ის მიმდებარედ
ს/კ 01.13.05.004.166

ნებართვის გამცემი ორგანო:

სსიპ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

კ-3 კმ.მ 35,7

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი:01.08.2021

ჩასარგავ ხე-მცენარეთა სახეობები:

1.წითელი ტყემალი- 2ძ. **Prunus cerasifera**
(სიმაღლე-3.5-5.5მ; გარშემოწერილობა-20სმ;ხნოვანება 5-10წ)
2.რობინია, ცრუ აკაცია-2ძ.**Robinia pseudoacacia**
(სიმაღლე-3.5-5.5მ; გარშემოწერილობა-20სმ;ხნოვანება 5-10წ)

გადარგული ხე-მცენარეები:
1.იფანი-1ძ
2.ვაკალი-1ძ

გაშენებული ხე-მცენარეებზე პასუხისმგებელი: ბიოჩბი სისკვიშვილი
პ/ნ 59001025425

გასაშენებელი ხე-მცენარებზე მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი





ESS

Equipment sales & service

#04/0819

22.08.2019

ხელწერილი

მე, გიორგი ცისკარიშვილი (პ/ნ: 59001025425) შპს ESS-ის (ს/კ: 404935816) დირექტორი, ვიღებ პასუხისმგებლობას შპს ESS-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.166) არსებული და დასარგავი ხე მცენარეების მოვლა-პატრონობაზე.

პატივისცემით,
გ. ცისკარიშვილი

№2/5-№4 გაგარინის მე-2 შესახვევი
თბილისი, საქართველო
#2/5-#4 Gagarini II lane Tbilisi, Georgia
ტელ/TEL: (+995 577 753020)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182463257**
თარიღი: **03/09/2018**
პინი: **2758**

ადრესატი: შპს ESS
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404935816
მისამართი: საქართველო, თბილისი, ეკა-საბურთალოს რაიონი, გაგარინის II შესახვევი. № 2/5- №4, ბ. 1

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 31 აგვისტოს #10/01182432295-18 განცხადება, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გადმოგზავნილი 28 ივნისის #60-01181792008 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (დამოუკიდებელი ექსპერტის გიორგი ტივაძის 2018 წლის 7 ივნისის საექსპერტო დასკვნა) რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისის, გუდაუთის ქუჩა #3-ის მიმდებარედ ს.კ. #01.13.05.004.166) მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება'') 21-ე მუხლის საფუძველზე მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ნარგავები განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე და აფერხებს პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, სამსახური გასცემს 1 (ერთი) ძირი კაკლის ხის (დიამეტრი 12.0სმ) და 1 (ერთი) ძირი იფანის (დიამეტრი 3.0სმ) თქვენსავე ტერიტორიაზე (#01.13.05.004.166) გადარგვის ნებართვას მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

რაც შეეხება 1 (ერთი) ძირი თუთის ხის (დიამეტრი 52.0სმ) მოჭრის საკითხს გაცნობებთ, რომ დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან ჩვეულებრივი თუთა დიდტანოვანი ეგზემპლარია, უფლებამოსილი პირის მიერ არ არის დადასტურებული მისი გადარგვის შესაძლებლობა, განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე და ცალსახად აფერხებს მშენებლობას, სამსახური გასცემს ხის მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც წარმოდგენთ სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების-აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების
განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7

832 (რვაას ოცდათორმეტი) ლარს (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საგადახდო დავალება
Payment Order

\# 1565008997 GEL ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 05/08/2019

გადამხდელი / Sender

შპს ESS, 404935816

რეფერენსი / Ref. Num.

2801217749

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE75TB7888636080100001

თანხა / Amount

832.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

რვაას ოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს ESS, 404935816*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 404935816

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773292

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

05/08/2019

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

წერილის ნომერი 18-01182463257



ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.